

მეგობრები

G45/
2004/2



2004
№5-6

მისილი იხ. მხ-2 მხ.





შურნალი ქალებისა და
ოჯახისათვის

მთავარი რედაქტორი
ლია კაკაბაძე

სარედაქციო
კოლეგია:

- მარიკა ბარათაშვილი
- ნაზი თარგამაძე
- ცინარა ტარეღაძე
(მხატვარი რედაქტორი)
- ირმა ჩოფიაშვილი
- ნინო ჯავახიშვილი
- მარინე ნაკაიძე

ნაწული აუკია
ტექნიკური რედაქტორი

დამფუძნებლები - შურნალი
„საქართველოს ქალის“
შურნალისტები

რეგისტრაციის №06/4 897

გარეკანის პირველ გვერდზე -
სალომე ზურაბიშვილის და ვანო
კაშაის ოჯახი;

მეთოზეზე - მოლა.

„Sakartvelos Kali“

Georgian Woman. A Magazine
for Women

შურნალი გამოდის
1923
წლიდან



1 ივნისი
ბავშვთა
დაცვის
საერთა-
შორისო
დღია

პატარების „ბრძნული“ გამონათქვამები

ჩვენი ცხოვრების მიზანი ჩვენი ბავშვებია. ყოველი ახალი წელი მათ ერთი წლით ზრდის. როცა ვუკვირდებით, როგორ მტკიცელებენ, როგორ აზროვნებენ, მსჯელობენ, სისხარულს ვერ ვფარავთ და ვიყურებთ მათ „ბრძნულ“ გამონათქვამებს.

სასიამოვნო განწყობისათვის ურიგო არ იქნება თვლით გადავკვილო ამ ჩინაწერებს, მიუხედავად იმისა, რომ ბავშვებს, გაიხსენებთ ჩვენი ბავშვობის წლებიც, რაც ამდღევალს განწივებს შვეტიცხნისა და ვინ იცის, იქნებ ბავშვობაში დაბრუნებაც ეინატროთ.

წინაშე

წინაშე ავეჯებულ ნუშის ხე დაინახა და გაცეცხულმა წამობახა:

— დედო, ვინ შეაყარა ამ ხეს ამდენი ბატბუტი?

ანა დაპითნია:

ზამთარში, როცა ბინაში ძალიან ციოდა, პატარა ანას აჭყედნენ, მერე ისევე ლოინისი აწვედნენ და წივების კითხვით არიობდნენ.

ერთხელ ანას ჰკითხეს, სად ცხოვრობო.

— ლოინისი, — უპასუხა ბავშვმა.

ფარანაო პრისთაძე:

ცოცხლად დაბრუნებულ ფარანაოს ოჯახში ეკითხებიან:

— რა მოეწონა ველაზე მუტად ცირვში?

— ბურბუშლა და კიკაკილა.

მიხა ქარაძე:

პატარა მიხაემ მინდორში ძროხა დაინახა, რომელსაც იცისინებოდა.

— ბიცილა, უთხარი რა ძროხას, მომეც ცოტა კვე!

თამარ ღიპარიანი:

შუშის ვიდეო გამოჩენისას მთელი ოჯახი შეუჩუბებული ახედავდა ხოლმე ჩამქვალ ნათურას და იხილავდა:

— ოჰ, ეს მთავრობა!

დენის შორეი გამორთვამე პატარა თემურყიო

ვითხო:

— დედო, მოაგრობა ჩვენს ჭერში ცხოვრობს?

სოფო სარგულაძე:

სოფოს საჩუქრად სათამარო ძალით მოუტანეს.

— რა დიდი პატარა ძალია! — აღტაცებით შესძახა ბავშვმა.

გური საგარეიძე:

— მამო, არჩვენებში ხმა არ მისცე, რა!

— რატომ?

— შენ ხმა აღარ გეჭენა.

მიხაე სპინაძე:

მიხაე ბებია ბაზარში წაიყვანა. შინ დაბრუნებულს დედამ ჰკითხა, ბაზარში რა ნახეო.

— ბებია ბაზარში დადიოდა და ამბობდა, ვეწლაფერს ცეცხლი უკაიო. მე კი ცეცხლი არსად დამინახავს.

ირაკლი ცინელაშვილი:

ოჯახში ცხერის ხორცს წვედნენ. ბებია ამ ხუნმა შეუწავა და სარემოს გამოღება ითხოვა. ირაკლი, რომელსაც ძალიან უყვარს ხორცი, ატრდა:

— ხეი რომ გართე ვავუშუათ, ჩვენ რაღა ვუპაიო?

თამარო ტაღლა:

თამაროს დედამ კატლეტები ტრამზე მრგვალად შემოაწყო და შესწავად დადგა.

— დედა, კატლეტების ზილიანს აყვებ?



ალბათ, ღვთის ნება იყო...

ა

ჭარაში გიორგოზას ელოდნენ... ტელე-ეკრანზე ასლან აბაშიძე გამოჩნდა. „წადით, ძალიან გთხოვთ, სახლებში წადით! მოდის იარაღით დატვირთული

200 მანქანა. მოდიან ჯარისკაცები. განერიდეთ, ძალიან გთხოვთ“... ასე ეთხოვებოდა იგი თავის გარემოცვას შორეულ რუსეთში გაფრენის წინ.

მაგრამ არც 200 მანქანა გამოჩენილა ბათუმში და არც შეიარაღებული ჯარისკაცები შემოსულან. მშვიდობიანი გიორგოზა შემოდიოდა.

ასლა ბევრს ლაპარაკობენ, ასლან აბაშიძეს პოსტიდან გადადგომის შესახებ განცხადება არ გაუკეთებიაო. ოფიციალურად ასეა. ჯერ კიდევ ვველაფერს ღრმა ანალიზი სჭირდება, რადგან იმ დღეებში მოვლენების განვითარება ელვისებური და მოულოდნელი იყო.

მოულოდნელი იყო თუნდაც ამინდის ცვალებადობა – წვიმა და ქარი მაისში. არა და, აჭარა მაისით ბრწყინავს. ტიცინანც ხომ ამბობდა: „მაისი ყველაზე არის მაისი, მაგრამ ბათუმში მაინც სხვა არის“.

და მაინც ამ წვიმიან მაისს ხიდების დანგრევა მოჰყვა. ხალხის მოთმინების ფიალა აივსო და გადმოვიდა, აჭარლები ადიდებულ მდინარეებდა დაიძინენ და ბათუმის ქუჩები აავსეს. მათი დაწინაურება შეუძლებელი შეიქნა. ამიტომ თავ-პირში

ხელ-კეტები ჩაცხეს, დაასისხლიანეს, ცივი წყლის ჭავლი მიუშვირეს. ამით ცდილობდნენ წელში გატეხვას, მაგრამ ვერ შეძლეს. დასისხლიანებულები, გაწუწულები ფეხზე დგებოდნენ, იმართებოდნენ და უფრო ხმამაღლა გაჰყვიროდნენ:



„წადი, წადი“.

ხალხის მდინარის შეკავება რომ შეუძლებელი იყო, ამაში ასლან აბაშიძე რუსეთიდან სპეციალურად ჩამოსულმა სტუმარმაც დაარწმუნა. მანაც ვაჭიშვილთან და რამდენიმე ახლობელთან ერთად აჭარა დატოვა.

„ქართველებო, – დაირხა მამის საქართველოში პრეზიდენტის ნაცნობი ხმა, – აჭარა თავისუფალია, მოვილოცავთ გამარჯვებას!“ მაისის გიორგოზა თენდებოდა.

ესეც მოსალეოც

იყო.

დილა მოწმენდილი, უდრუბლო...

გიორგოზა დღეს აჭარაში რაც მოხდა, შემთხვევითი არ ფოფილა. წმინდა გიორგის მაღლი გვეფინა.

აჭარის ხელისუფლების უსისხლოდ შეცვლა მსოფლიოში უპრეცედენტო იყო. ამიტომ ეფერებოდა ყველას პრეზიდენტი: „ღებო და მძებო! ჩვენ გავიმარჯვეთ. საქართველოს გაერთიანება დავიწყო“.


ეს ალბათ, ღვთის ნება იყო.

ლია კაპაბაძე

საქართველოს
პარლამენტის
პრეზიდიუმი
ბიბლიოთეკა



ჩვენს სტუმარია ჟურნალისტი ჯანრი კაშია



● ჯანრი კაშია

მე და სალომი

იტინგული თოქ-შოუს პროექტის ავტორი ბ-ნი ჯანრი კაშია თავისი ჟურნალისტური მოღვაწეობით ასევე ქართული საზოგადოებრივი ცხოვრების განვითარებისათვის იღწვის. საინტერესო დეტალი: მის ყოველ გადაცემაში აქტიურად მონაწილეობენ და საკუთარ აზრს გამოთქამენ სტუდენტი ახალგაზრდები.

– ბ-ნი ჯანრი, როგორ შეაფასებდით საქართველოს სახელმწიფოებრივი განვითარების უახლეს ისტორიას?

– საიდან დაეიწყოთ, დამოუკიდებლობის გამოცხადებიდან თუ უფრო ადრეული პერიოდებიდან? ვირჩევდი ე.წ. „პერესტროიკიდან“ (ჩვენებურად გარდაქმნაა, მაგრამ თავისე შინაარსით რუსული სიტყვა უფრო შეეფერება), იგი საბჭოთა კავშირში „სტანგაციის პერიოდს“ მოჰყვა. ამ მოვლენამ გარკვეული ტენდენციები გამოაგონა, რამაც ჩვენში შემდგომ უფრო მწვავედ იჩინა თავი.

„სტანგაციის პერიოდად“ ბრეჟნევის მმართველობას მოიხსენიებენ, იგი ტოტალიტარული რეჟიმისათვის უარყოფით მოვლენად ფასდებოდა. მაშინ ბიუროკრატია გაირყვნა და ზნეობა დაეცა. ეს უზნეობის ორობტრი-ალი, ჩვენი გაგებით, კარგაც იყო, იმიტომ, რომ საბჭოთა სისტემის ნგრევას აჩქარებდა. მაგრამ მეორე მხარედ ჰქონდა, რაც შემდგომ უარყოფითად გამოვილი-ნდა.

დაინგრა თავისი სიმძიმით საბჭოთა სისტემა, ტოტალიტარული წყობა, რომელშიც სხვადასხვა ერები ძალით იყვნენ გაერთიანებულები, მაგრამ უზნეობა და გერნა და დიდ პრობლემად გვექცა.

სტანგაციის ბოლო წლებში KFB-ეს რეპრესიული აპარატი ძალაუფლების განმტკიცებას ცდილობდა. დისიდენტური მოძრაობაც იმისათვის დაჭირდათ, რომ ბრძოლა გამოცხადდებინათ, თავისი საჭიროება დამტკიცებნათ. ეს მექვიდეროა „პერესტროიკას“ ეგო. ამ დროს აშშ-ში, ქვეყნის სათავეში რეიგანის მთავრობა მოდის. რინაღდ რეიგანმა ძლიერ მრჩეველთა გუნდი შემოიყრიბა – ყველა ანტიტოტალისტო, ანტი-საბჭოელი. მაშინ ამერიკამ თავისი სტრატეგიული განვითარების კურსი შეცვალა, საბჭოთა კავშირის წამბამკელობაზე ხელი აიღო. ახლა რომ ბევრს საუბრობენ „ვარსკვლავური ფარის“ სახელით ცნობილი ამერიკელების ატომური თავდასხმისგან თავდაცვის სისტემაზე, მისი დამუშავება მაშინ დაეიწყო. საბჭოთა კავშირის სათავეში კი გორბაჩოვის მთავრობა მოვიდა. სწორედ მიხედ გორბაჩოვს ეკუთვნის ფრაზა – მტერმა ამოგვიცნო და ჩვენს აღარ ეშინია... მაშინ მოიოვნეს „პერესტროიკა“. სხვათაშორის, ეს 37-ნი სტალინის თქნა იყო. ყოველ შემთხვევაში ტექსტები ერთიერთზე ემთხვევა ერთმანეთს. მაგრამ სტალინმა ამ გზით დიდი წმენდა განახორციელა. გორბაჩოვის „პერესტროიკა“ კი პირაქით, ყოველგვარი კრძალვები გააუქმა. რომ დაუკვირდეთ, ესეც უზნე-

სახელმწიფოებრივი განვითარების პირველი წლები არც თუ ისე იოლი გამოდგა. ქართველებს გაგვიჭირდა. ემიგრაციაში გადახვეწილთა რიცხვმაც იმატა, რასაც, ბუნებრივია, სხვადასხვა მიზეზი განაპირობებდა, ძირითადად ეკონომიკური სიდუხჭირე. არ გვიყვარს ამხე საუბარი, მაგრამ ყოველი მეორე თუ არა შესამე ოჯახის ერთი წევრი მაინც ზომ საზღვარგარეთაა წასული.

დღევანდელ სტუმართან შეხვედრით სულ სხვა ისტორიას მოგიხსნობთ. იგი ენება ერთ მშვენიერ ქართულ ოჯახს ბატონი ჯანრი კაშიასა და ქალბატონ სალომე ზურაბიშვილისა. ისინი ჯერ კიდევ სხვა ქვეყნის მოქალაქეებად ითვლებიან, თუმცა ემიგრაციაშიც ქართული დირებულებებით სულდგმულობდნენ. ახლა კი შანსი მიეცათ თავიანთი ცოდნა და გამოცდილება სამშობლოს დაახარჯონ... ორივენი აქტიურად მონაწილეობენ საზოგადოებრივ ცხოვრებაში. ქალბატონ სალომე ზურაბიშვილს სავარგო საქმეთა მინისტრობა მეტად რთულ პერიოდში ხვდა წილად „ეარდების რევოლუციის“ შედეგად მოსულ მთავრობაში და აჭარაში გამწვაებული ვითარების ფონზე. ამიტომ მისი მოუცვლოლობა ადვილი ასახსნელა. ტელეარხ „იმედზე“ რე-

პრემანეთი პარიზში ვიპოვებთ

ობის ასპექტია. ის ადამიანები, ვინც მიიღო ამ წლების განმავლობაში მონურად გაჩუქებულები იყვნენ, ალაპარაკდნენ და ერთმანეთს აბეზღებდნენ.

მასსოს, 1993 წელს დიდტირაციანმა ფრანგულმა გამოცემამ საქართველოში გამოემზავნა, იელარდ შევარდნაძესთან ინტერვიუ მქონდა. მასინ ვკითხე, რა განსხვავება დიდსა და პატარა ქვეყანას შორის, ზომ შეიძლება ტოტალიტარიზმი პატარა ქვეყანაშიც დამკვიდრდეს-მეთქი? კითხვას არ უპა-

სუხა, საუბარი სხვა თემაზე გადაიტანა. ისე აიხსნა, საქართველოში უზენოობის ტოტალიტარიზმი დამკვიდრდა. დღემდე ეს ჩვენი ქვეყნის მთავარ პრობლემად რჩება. ამ სენსა განსაკუთრებით მოიკიდა ფეხი ადმინისტრაციულ ემულონგში, თორემ მოსახლეობა ვოველგვარი თავისუფლებისთვის მზადაა მიიღოს წესრიგი და წესიერი ცხოვრება. ეს გამოვლინდა „ვარდების რევოლუციის“ დროს. ამ პროცესში მოსახლეობა უფრო აქტიუდად მონაწილეობდა, ვიდრე პარტიები, პოლიტიკური ძალები.

თითქოს არ იყო საკმარისი აფხაზეთის და ცხინვალის პრობლემა, აჭარაც პრობლემად გვექცა, უფრო სწორად, პრობლემა აბაშიძე იყო და მისი აცდენა დროში. ის იქ დარჩა, ტოტალიტარულ სისტემაში და იმ უზენოობაში, რომლის დამკვიდრებაც უშეუნიერეს აჭარას თანდათან წვევტა და დანარჩენი საქართველოსგან. ამის ატანა უკვე აღარ შეიძლებოდა.

– თქვენ ფურანლისტი ბრძანებით, ტელეკარბ „იმედზე“ წარმატებული თოქ-შოუს – „არჩევანი თქვენ“ ავტორი და წამყვანი, რომლითაც საზოგადოებრივი აზრის ფორმირებაში იღებთ მონაწილეობას. თქვენი ფურანლისტური პრაქტიკიდან გამომდინარე, როგორ შეაფასებდით ქვეყანაში საზოგადოებრივი აზრის განვითარებას, რატენდენციები შეინიშნება?

– ამ პროექტს ერთი წელია ვაზორციელებ. ჩემი მხრიდან რთული შევფასო გადაცემის გავლენა. მაგრამ ვიღიარებ, რომ ახლა გაცილებით აქტიურია საზოგადოება, ვიდრე, თუნდაც, 1 წლის წინ. განსაკუთრებით ახალგაზრდობაშია კარგი შედეგი. საკუთარი თავის შეზღუდვა გეკომპლექსებს, ნებისმიერ თემაზე თავისუფალი მსჯელობა გეპარგებს, რათა სათქმელი მოვასწორო, ვიდრე ენას ამოგვკავლევინ.

– ოჯახი თქვენს ცხოვრებაში...

– ნებისმიერი ადამიანის ცხოვრებაში ოჯახს უმთავრესი მნიშვნელობა აქვს. დღეს ამ ინსტიტუტმა სოციალური დატვირთვა დაკარგა, რაც ოჯახური ღირებულებების დაქვეითებამ განაპირობა. ამის შედეგია უზენოობის ასეთი მასშტაბები. ჩვენში დამკვიდრებულია გამოთქმა – „კარგი ოჯახიშვილი“, – რას ნიშნავს ეს? ზრდილობას, განათლებას, საზოგადოებრივი ინტერესების ცხოვრებას. იც ასეთ ოჯახში გაფიზარდე. ბევრმა მეც, რომ ჩვენ ვიყავით უაღრესად მეგობრული, კარგახსნილი და სტუმართომოფარე. ოჯახში მთავარი, რა თქმა უნდა, სიყვარული და ურთიერთგაგებაა. შემდეგ რაღაც მოხდა, საზოგადოებაში ოჯახის შეფასება დაიწვეს სამოხელეო ფუნქციით, ახლაკი – სიმდიდრით.

სალომე ზურაბიშვილიდან ჩემი ურთიერთობის კვანძი საქართველოს სიყვარულით შეყვრა, რაც დასაბოლოებს საფუძვლად იქცა. 43 წლის ვიყავი, როდესაც საფრანგეთში ჩავედი და პოლიტიკური თავშესაფარი ვითხოვე. სალომეს შემთხვევით შევხვდი, სულ პირველად მასთან კონსულტაციის მისაღებად მიმიყვანეს.

მას გამორჩეული ოჯახი ჰქონდა. მამამისი დამსახურებაა, რომ სალომე და მისი ძმა საფრანგეთში დაბადებულანე ეწიარენ დიდ ქართულ ღირებულებებს. სალომეს თაობაში მისი დონის ქართული საფრანგეთში მცხოვრებმა არცერთმა ქართველმა არ იცის. არა მარტო ქართული ენა, არამედ ჩვენი მწერლობა, პოეზია, ისტორია, კულტურა – ყველაფერი, რაც ქართულ ღირებულებებს აყალიბებს. სამწუხაროდ, მამამისის გაცნობა ვერ მოვასწარი. მისი ოჯახი თვითდასწავლად ჩემდამი ძალიან ყურადღებიანი იყო. ერთ მომენტზე გავამახვილებდი ყურადღებას: 1982 წლამდე, წასვლამდე ჩემი წიგნი მქონდა გავზავნილი საზღვარგარეთ და



● სალომე და ჯანი რონდონში



● სხედან: სალომე ზურაბიშვილი, ნინო თორაძე, ნინო კალატოზიშვილი. დგანან: ალექსანდრე კორსანტი, ჯანი კაშია, ბანუი ბეგიშვილი.

ახალი კაცის

გაიკვია, რომ 70-იანი წლების ბოლოს სალომეს იგი წვაებოდა. მისთვის ჩემთან შეხვედრით ავტორის იდენტიფიკაცია მოხდა. 10 წელი ვმეგობრობდით. რადგანაც ცხოვრების მნიშვნელოვანი ნაწილი მოგზაურობაში გაატარე, მეგობრულ ურთიერთობებს განსაკუთრებულად ვფასებ. 1992 წელს შევეუბნა. მე მყავს ორი გოგონა, სალომეს ქალ-ვაჟი. ოთხივე ჩემი გაზრდილია. უფროსმა ქალიშვილმა ნანამ თბილისში ხელოვნებათმცოდნეობა დაამთავრა და ამჟამად ევროკომისიის წარმომადგენლობაში მუშაობს. მისგან მყავს 12 წლის შვილიშვილი რუსეთი. სალომეს შვილები საფრანგეთში სწავლობენ. ვაჟი – თემურზან პოლიტიკურ მეცნიერებებს ეუფლება, გოგონა – ქეთევანი მომავალი იურისტი. ჩემი უმცროსი ქალიშვილი მარიაში საბერძნეთში ცხოვრობს, ათენში ასევე პოლიტიკურ მეცნიერებებს ეუფლება. გამიბღის, რომ ერთი დიდი ინტერნაციონალური ოჯახი გვაქვს. ბავშვები არადადეგებზე ჩამოდიან და ასე ვიკრიბებით ერთად.

– გამძღობთ საუბრისათვის.

* * *

ამგვარად, ემიგრანტების ოჯახი საქართველოში ცხოვრობს და ქვეყნის კეთილდღეობისათვის იღწვის. ჯანრი კაშიამ თავისი გადაწყვეტილება სამშობლოში დაბრუნებულ იყო რამოდენიმე წლის წინ განახორციელა, რასაც მოჰყვა ტელეარხ „იმედზე“ თოქ-შოუს პროექტი. უფრო მნიშვნელოვანია სალომე ზურაბიშვილის მიერ გადაღებული ნაბიჯი. საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრმა ქალბატონმა სალომემ დაქვემდებარებულ უწყებაში მუშაობა წესრიგის დამყარებით დაიწყო. პირველ რიგში მოინდომა მოადგილეებად ღირსეული პროფესიონალების მოზიდვა, უცხოეთში ჩვენი წარმომადგენლობების მაღალი რანგის დიპლომატებით დაკომპლექტება.

...აჭარა აბაშიძის რეჟიმისაგან განთავისუფლდა. ამ მოვლენას მოჰყვა ვიზიტი მოსკოვში, საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის სალომე ზურაბიშვილის რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრთან სერგეი ლავროვთან ხანგრძლივი საუბარი, მაგრამ... ქართულად (რუსებისთვის უჩვეული იყო, თარჯიმნის დახმარება რომ დასჭირდებოდა). როცა ქალბატონი მინისტრს ამ ვიზიტისას შეეკითხნენ, რა აზრის იყო ასლან აბაშიძეზე, მან მოკრით უპასუხა: „ასლან აბაშიძე ჩვენ აღარ გვეხება, იგი რუსეთს გადმოუვლოცეთ“.

საგარეო საქმეთა მინისტრებმა საქართველოში რუსული ბაზების საკითხზეც იმსჯელეს. ქალბატონ სალომეს მოთხოვნა კატეგორიული იყო – ბაზების გაყვანა სამ წელიწადში უნდა დასრულდესო. რუსეთი დაინტერესდა, ჩანაცვლებენ თუ არა მათ ადგილას სხვა ქვეყნის ბაზებს? თავისუფალ საქართველოს ტერიტორიაზე არცერთი სხვა ქვეყნის ბაზა არ იარსებებდეს – იყო პასუხი.

...საბამაია, მსოფლიოში აღიარებული დიპლომატი, ქალბატონი სალომე ზურაბიშვილი-კაშია ემიგრაციიდან სამშობლოს დასახმარებლად რომ ჩამობრძანდა.

საბუნებრივად, ჩემი ამჟამინდელი რესპონდენტი სიტყვაობით მასთანხელოვანი გამოდგა. შერვა, თითიდან გამოწოვილი ფიტეტის ამცაოვებს.

კვალიფიკაციით, ერთიერთი მნიშვნელოვანი ახალგაზრდა ქალიშვილებში იგი ავტორებთან დაკავშირებული თხოვნით შეეგებოდა. სპეციალური ექსპედიციონარული „კურსი“ მუშაობის სადაც ზუსტი ახალი ნები კეთდება. უფრო მორიდან, მშობლებთან მინდა დაეწყოს, თუცა, შერვა, იმ ფართო მეგობარ-ზაცხობა წრეს, რომელიც ვიგი ერთმანეთის აცნობს, ამ იდეალოზი პიროვნების შესახებ ისედაც ბევრი რამ კარგად მოქსენება.

...იმ დღეს, ჟეში და მოსწყენი იყო თბილისი. თქეში და ბურუსში ჩახხრო ლამის. განწყობილებადამიძებულო, მომობლაე ოლოკოსთან ვარ. ვუფენა მალე გამომსწორდა, ასაკის შეგრძობაც გამიქრა და მეც მასავით ახალგაზრდად ვიგრძენი თავი. ასეთებზეა ნათქვამი, კარგი სურა აქელო.



● ოლიკო ნიკასთან ერთად

ბევრი კარგი თვისება ოჯახიდან, განსაკუთრებით მამიკან მოსდამს, რომლისთვისაც არასოდეს არ არსებობდა თანამდებობის პირი, მაღალი ეშლონები. შეეძლო შეეპაოება, სიმართლის დაცვა და დამტკიცება. „კრიშა“ არასოდეს ჰყოლია, ცოდნით იველედა გზას და არა სხვადასხვა რიხებით, გაუმართლა, ბევრს მიღწეა. თორმეტ ფინანსთა მინისტრის ცვლას გაუძლო, ომის ღერიც არ შერხეოა, მრავალი ვიღღო, მაღლობა, პატვიცეცმა და მოწინაა უხვადა, უშურველად მიაგეს. ორმოც წელზე მეტა ფინანსთა სამინისტროში მოღვაწეობს, საქართველოს ბიუჯეტის გაქმარავი, საბიუჯეტო სამმართველოს უფროსი, მინისტრის მოადგილის საპატო პოსტს ნიშნავს. ახლა, მინისტრის პირველი მრწველია. კანონის უზენაესობის დამცველი, როგორც ჭეშმარიტი სპეციალისტი, თავისი საქმის ქიმაგი და სიმართლის გამტარებელი, აპოლიტიკური პიროვნება ვახლავთ. ერთ

შვილობა ქნაღისაა და ადვილიც



ასეთ შემთხვევას ვისხვებით: აღარ არის ზეალი, კადრების ცვლა მდის, სასამართლო რაღაც ფინანსურ მაქინაციებში ვლავდა თეგებ სიგუას: ბატონ გივის ფინანსთა სამინისტროს დასვენას ავალდებენ. ის თვლის, რომ სიგუა ამ შემთხვევაში მართალია და არასწორად ედავებთან. საჩვენებელი პროცესი იმართება, იწერება პრესაში, აშუქებენ ტელევიზიით. მოსამართლე ორგუთობს, უჭირს გადაწყვეტილებას მიღება, შეკვეთილი ბრალდებაა. ვალდასული პოლიტიკოსი სიგუა აღარავინ სჭირდება, მაგრამ მართალია. ამოქმედდა ქართული მენტალიტეტი, ნაცნობობას, ახლობლობას, მეგობრობას დაუსაზრებლად მიაჩერენ სიმართლის ამლიარებელ პიროვნებას. საშემშო სავალდებულო ფინანს წარმომადგენელი ერივება და პროცესზე დაბეჯითებით აცხადებს, რომ თვალდაუხუჭული ენდება გვიც ერქომაშილის მიყვლეულ მასალებს. ამიტომაც ზნეკითლ დაძმანად იცნობენ, მისი საკუთხოვო თვისება მალად პროფესიონალიზმთან შერწყმული ადამიანებზე ზრუნვა, კანონის უზენაესობიდან გამომდინარე მათი ინტერესების უნაგრო დაცვაა.

მწელიცა და ადვლეიც ასეთი კაცის შვილია. ხელს იშვერენ შენსვენ, მეტს თხოვრებ, თავი უნდა აკონტროლო, არაფერი შეეცმალოს, ზედმეტი არაფერი მოგიფიდე.

არაფერში შემცდარა ოლიყო, მისხალი შეცილობა არ მოსვლია, დღემდე საოცრად აქტიურ ერივებას ეწევა. ვველაფერს სარწმუნო, რაც მოთავრია, ღაზთიანად გაქმოსდის ვველაფერი. გამორჩეული მოსწავლე, სტუდენტაც გამორჩეული იყო. 151-ე საშუალო სკოლა იმ წელს ორმა დაამთავრა ოქროს მედალზე. ეს ის პერიოლია, როცა მედალს ძალა აქვს, ერთი საწიით, თუ ის მართლაც ღამსახურებელი ვილიდა, ნებისმიერ უმაღლეს სასწავლებელში მოხვდები. მათემატიკურზე აბრებდა სწავლის გავრძელებას, მშობლები ექმობას ურჩევდნენ. როცა მისი თავისუფალი თება „ჩემი შობაგვლედეზა თავსაფიან დედაკაცზე“ უნიჭიერესმა ჟურნალისტმა, მრავალმხრივ განათლებულმა, ბევრი ახალგაზრდის გზის გამკვეთვემა ჩნული ჟოჩიშვილმა წაიყთია, ვერდიქტი გამოუთქვა, შენი ადვილი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიოლოგიურ ფაკულტეტზეა, რომელიც ძლიერ სტუდენტო კონტინენტითაა გამორჩეული. იქ ვიფინა შენთვის ზედგამოჭრილი იქნებაო.

დაუვიწყარია ოლიკოს ცხოვრებაში აბიტურიენტებით გარშემორტყმული უნივე-

რსიტეტი, საგამოცლო ოთახში თავიქაქინდრული დამფრთხალი ბავშვები. ისმის გამიცვლელის ხმა – ვის შეუძლია მოვიქრების გარეშე წარსდგეს საგამოცლო კომისიის წინაშე?! ასე უნდათ კორუსონდენტებს, ოპერატიულ მასაღას აზნადებენ. დაძაბულობა დაძლეულია, ოლიკოს პირველ ზუთიანს იღებს, ათ სათისა და ოცდაათ წუთზე პირველი სტუდენტი ხდება. 1979 წლის პირველი სექტემბრის გავეთების პირველ გვერდებზე მისი ფოტოები იბეჭდება. (მეორდაღებულად აღნიშნავს ფაქტებს, არაფერს აჭარბებს. მე ონდა ვაღამაზებ. ბევერი რამ მისი ცხოვრებიდან ისედაც კარგად მასხვებს).

ბევერისთვის ნანატრი სამედიცინო ინსტიტუტის ტლფვასი იყო ბიოლოგიურ ფაკულტეტზე მოხვედრა მაშინ. გამორჩეული პროფესორ-მასწავლებლებს წყალობით ეწიარა ამ მეცნიერების სიღრმეებს, სწავლა თუ იყო, მაშინ იყო, კიდითკიდემდე შემოიარა საქართველოს მთაბარი.

...იყო სამეცნიერო თემები, მეორესობათ გატარებული საათები, ლტლვად ინტერესი მეცნიერების სიღრმეებში წვდომისა; იყო საგნები, რომლებსაც ვალდებულებისთვის სწავლობდა, ამიტომ წითელი დიპლომი არ მიუღია. თუქცა, ვველა ასპირანტურისთვის მოიარებდა. ბრწინვალედ დაიცვა სადაბლომო ნაშრომი, ციტოლოგია-ჰისტოლოგია-ემბრიოლოგიის კათედრის გამცესთან, თანამედროვე გენეტიკოს გავი თუშანიშვილთან. ხელიდან ხელში გადადიოდა მისი საკვლევი, სადაბლომოს სცილდებოდა, (ამაზე სლუმს, სხვები ამბობენ). ბატონ გევისგან ჰქონდა შთოთავზება მასთან გაერბილუბინა სამეცნიერო მუშაობა. არ ისურვა. პალეო-ბიოლოგიის ინსტიტუტში არჩია მოღვაწეობა. აქაც საინტერესო მეცნიერების გვერდით აღმოჩნდა, ბევერი მას ისწავლა მათგან, ნაბიჯ-ნაბიჯ დღემდე იმედრებს ცოდნას. ოჯახის შექმნის მიხვებით სამეცნიერო კარიერა დროებით გვერდზე გადასდო. ღირსეული ახალგაზრდა, არქიტექტორი ირაკლი ვლენტი შემოიღის მის ცხოვრებაში. მოხიბლა ირაკლის გიანიერებით, განსწავლულობით, ჯეგტლმენური ქცევებით, ეროვნული მოძრაობის აქტიური წევრობით. ცხა პარიღს, მილიციონრების წყალობით, ირაკლი შემთხვევით გადაურჩა სიკვდილს. ქუთაისმა პარლამენტის წევრობის კანდიდატად წამოაყენა. მიწისქვეშით დაზარალებულია სახლების აღდგენით სამუშაოებშიც მონაწილეობდა როგორც არქიტექტორი.


მათი ვაჟიშვილი ნიკა სტუდენტია, ბა-



● ოლიკოს მშობლები ცირა ჩიტაიშვილი და გვიო ვერთმაიშვილი



● მარი და ნიკა



● ირაკლი ვლენტი



● მარი „პატარა გვერდში“

„ათი შვილის გაზრდა სულ არაა ქნელი“



● ბოლქვაძეების ოჯახი

პიროვნება, რომელზეც ვწერ, არაგის ჰგავს. ის მარტო იმით კი არ არის გამორჩეული, რომ გმირი დედაა, ათი შვილი შობა და გაზარდა, არამედ არაჩვეულებრივი ქალია... ქალი უდადესი კრძალებით, სტუტკაი რწმენით, ნაზი ქალურობით, ფაქიზი მშვენიერებით. ჩემი თანამშრომელი ქალები თითო შვილს ზრდიან და ყოველ დღით ისეთი აწუწუნებულნი მოდიან სამსახურში, არ ვიცი, რითი დაგეზმნარო, მეცოდებიან. ჩემი სტუმარი ათი შვილის დედა ბრძანდება სოფელ თხილვანიდან – ქალბატონი თამარ ბოლქვაძე. მეგონა პრობლემებზე მომიფიქვროდა, ალბათ, გადაღლილი და შეწუხებული-მეთქი. არა! ქალს შეგხვდი დღეთურს, ღიმილიანს, სიცოცხლით სავსეს, უბედნიერესს. ალბათ, ამ ქალის საუბარი ქართულ დედებს რომ ესმინათ, საქართველო ისევ თორმეტი მილიონი გახდებოდა!

ქალები ასაკს მალავენ. მე ამ ქალის ასაკს განსაკუთრებულად ვუსვამ ხაზს, თამარ ბოლქვაძე 49 წლისაა, ჰყავს მეუღლე, ათი შვილი, შვიდი შვილიშვილი. სოფელში ყველა სახის სასოფლო-სამეურნეო საქმიანობას ეწევა: ჰყავს პირუტყვი, ფრინველი, ოჯახში მზადდება კარაქი, ყველი. ოჯახში ქსოვენ, ქარავენ, კერავენ. და კიდევ ... არ იფიქვებენ ეროვნულს, ტრადიციულს, სტუმართმოყვარეობას. ისტორიულ თხილვანში ვინც ფეხს შედგამს, ყველა შობა და თამარ ბოლქვაძეების სტუმარია. სოფელში ხიდი და სკოლა აშენდა, მუზეუმი გაიხსნა... ყველა საბირეკელის გამთხრელი, კედლის ამომგვანი, თუ ლენტის გამჭრელი მათი ოჯახის სტუმარია. ოჯახს თვეში 5 ტომარა პურის ფეჭილა სჭირდება, ხანდახან დღემი სამჯერ მზილეა და ცხვება პური...

– ათი შვილის დეობა დღეს გმირობაზე მეტია, როგორ გაზარდეთ?

– ბევრი შვილის გაზრდა სულ არ არის ძნელი. დედა-

მთილი და ქმარი მეზმარებოდნენ, მერე დიდები პატარებს ზრდიდნენ, არაფერში გამჭირვებია. თამარ-ქოსაც ვაწარმოებდი, კარტოფილსაც, კომბოსტოსაც, პირუტყვსაც ვუკვლიდა.

– ბავშვებს როდის ურეცხავდით, როდის აბანავებდით?

– დამით, ამხელა დამეში რა უნდა ვაკეთო!

– ათი შვილი ბავშვების სიყვარულით, ერის გამპრავლები ინტერესით გააჩინეთ თუ...?

– ბავშვების სიყვარულით. დღეს რომ ერთ შვილზე ჩერდებიან, არ მომწონს.

– ჩამოთვალეთ თქვინა შვილები.

– რუსუდანი, ინგა, ირმა, ირინა, ოლეგი, ნარია, ინდირა, შორენა, ლამა, ზაირა. რუსუდანი დაწვებითი სკოლის მასწავლებელია, ინგაც პედაგოგია, დაწვებით კლასებს ასწავლის ფურუკაულში, ირმა მეოთხეკურსელია, ირინა მესამეკურსელი, ოლეგი ეკონომიკურ ფაკულტეტზე სწავლობს, ნარია სტუდენტია. ინდირა, შორენა, ლამა, ზაირა საშუალო სკოლის ფრიადოსანი მოსწავლეები არიან. რუსუდანამ, ინგამ, ირმამ და ირინამ საკუთარი ოჯახები შექმნეს. შვიდი შვილიშვილი მყავს: პაატა, სალომე, დავითი, ნიკა, დათო, შორენა, ანა.

– ძილის წინ ზღაპრების მოყვლის დრო თუ გრწებობათ?

– ყოველთვის ზღაპრებით ვამინებდი და უფრო მიაღვიღებოდა... მშვიდად იძინებდნენ.

– და თქვენ ისევ აგრძელებდით მათზე ზრუნვას?

– დიახ. ვალაგებდი, ვრეცხავდი, ვაუთოებდი.

– რამდენი აკვანი დაგჭირდათ ათი შვილის გაზრდაში?

– ერთი. პირველი რომ ამთავრებდა აკვნის პერიოდს, მეორე წებობდა და ირწეოდა გაუწერებლევ. ის აკვანი დღესაც იმაზეა.

– დედოფლის ოდესმე ხომ არ გინანიათ, ქალი რომ ხართ?

– არა, რას ამბობთ? სიყვარულით გავთხოვი და ძალიან ბედნიერი ვარ.

– რას უსურვებდით ახალგაზრდა დედებს?

– ბევრი შვილის გაზრდას, რაც არ არის ძნელი. არცერთი შვილი საავადმყოფოში არ მიმიყვანია. წამოზრდილი შვილის კაბას პატარას ვაცემედი. ყოველი ბავშვის დაბადება დღესასწაულია, დიდი სიყვარულია. გააჩინეთ შვილები. ჩემს სახლში ყოველდღე ზეიმია: ხან ერთის დაბადების დღეა, ხან მთვრესი, ხან ერთის ქორწილია... ახლა შვილიშვილებიც მემატყებიან... გააჩინეთ შვილები, დემეთი შეგწევათ.

ნაზი თარბამაკე

ჩვენი ღმერთი

- უცებ მიპასუხე,
არ დაფიქრდე, ქეთი,
საქართველო ჩვენი
რა ფერია? - თუთრი!
რატომ თეთრი, ქეთი?
ამისხენი ერთი,
- ყველაფერზე უფრო
ლამაზია თეთრი.

იმიტომ, რომ თეთრი,
არის თავად ღმერთი,
ღმერთი არის ერთი,
საქართველოც - ერთი,
და ორივე ერთად
არის ჩვენი ღმერთი!
რა ვქნა, ასე ეხედავ,
სხვანაირად ვერ ვთქვი.

ჩემო პატარემო


ჩემო სანუკეარნო,
ჩემო პატარებო,
ლამის ჭირთა მომენნო,
ბევრის ამტანებო,
გმირთა მოდგმისანო,
ბრძენთა ნამიერნო,
დღეს ხან მწყურვალნო და
ხან მწყურვალ-მშიერნო,
აღგეთის ლეკვებო,
მგლებად დასაზრდელნო,

ხვალის საქართველოს
საძირკველო-საყრდენო,
ხვალის ბატონებო,
და ქალბატონებო,
მთლიან საქართველოს
ბატონ-პატრონებო.
იმედის და რწმენის,
მფრქვევო ატომებო,
გლოცავთ, საქართველოს
ბატონ-პატრონებო!

ჩიტი ჩიორა ჩიოლა...

ჩიტი ჩიორა ჩიოლა,
თვალთაგან ცრემლი
სდოიდა.
შიოდა? - არა შიოდა,
სციოდა? - არა სციოდა.
ძლივს ჭყლოპინებდა
საბრალო;
- განა ეს სამართალია?
რად დამიჭირეთ, რას
მერჩით,
რაში მიმიძღვის ბრალია?

შივლების დარდი
მაწუხებს,
გულზე მედება ალია,
ვიცი, რაჩივად მელიან,
გზისყენა რჩებთ თვალია.
გამიშვით, გემულდარებით,
გამიღეთ ციხე-გალია,
ვინ იცის, ჩემ ნაბოლარამ
დარდით სულაც კი
დალია.



საჩუქარი გემოს

ჩემო კარგო ბებიო,
ეს პატარა ნობათი
ჩემი დახატულია,
სიყვარულით მოგართვი.
აბა, ნახე, ბებიო,
ხომ არ დაგვიწყებია,
აი, ჩვენი მდინარე,
აქვე ვენახებია.
მდინარის გაყოლებით
ნორჩი ტირიფებია,

შეხე, გოგონებს ჰგვანან
რა შვეული თმები აქეთ.
თითქოს იბანავეს და
ახლა მზუნე თმებიან,
ჩრდილებს ათამაშებენ,
მზეს ეკვლუცებიან.
ეს კი ჩვენი სახლია,
ეს ნათურის ძელია,
მსულდა შენც დამეხატე,
მაგრამ... ძალზე ძნელია.

რა დედა ხარ, გუგულო!

ბებომ ეს რა მიაბო,
რა ყოფილხარ, გუგულო,
„გუ-გუ, გუ-გუ“ კი არა,
მთელ დღეს რომ
იღუღუნო.
წამითაც არ მოვისმენ,
გულცივო და უშულო,

კვერცხებს სხვის ბუღემი
ღებ,
არ გრცხვენია, გუგულო?!
ბარტყების გამოჩეკას
რად არ ვინდა უყურო,
მათზე ზრუნვა რომ არ
გსურს,
რა დედა ხარ, გუგულო!


წვიმა

რა შხაპუნით მოღის,
რა ლამაზად წვიმს,
გააცოცხლებს ბალებს
სუფთა წყალი ცის.
წაბ-წუბ, წაბ და წუბ,
ტინ, ტინ და ტინ,
წვეთს ვასძახის წვეთი,
ჩემი ფანჯრის წინ,

ელექტრონის სიმი
ემსგავსება მძივს,
მერე წუღება მძივი,
იფანტება ძირს,
წაბ, წუბ, წაბ და წუბ,
ტინ, ტინ და ტინ...
ნოტებს არჩევს წვიმა
ჩემი ფანჯრის წინ.



პრტი დიდი ოჯახი



სახლს მშენებელი აშენებს, ქვეყანას ხალხი. შენების ხარისხი კი, მოგვსენებათ, მშენებლის კვალი ფიქსაციაზე და მოკიდებული. დღეს ყოველ ნაბიჯზე შეხვედებით სხვადასხვა ტიპის სასწავლო დაწესებულებას. არჩევანი მართლაც დიდი, მაგრამ საჭირო ცოდნის მიღების გარანტია, სამუშაოდ, მაღალი მცირე-ახალი თაობის მომავალი რაფინირებულ,

სოული კავშირების სასწავლო-სამეცნიერო ცენტრის ბაზაზე შეიქმნა საქართველოს პროფესიული კავშირების თავმჯდომარის ბნ ირაკლი ტულუშისა და პროფესორ დავით ჯანგულაშვილის ინიციატივით.

2001 წლიდან უნივერსიტეტი საერთაშორისო მეცნიერებათა აკადემიის ასოცირებული წევრი გახდა, გაერთიანებულია მსოფლიო პროფკავშირების უნივერსიტეტების კავშირში.

სწავლება მიმდინარეობს იურიდიულ, ეკონომიკურ, სამედიცინო, პედაგოგიურ, ჟურნალისტიკის, ევროპული ენებისა და ლიტერატურის ფაკულტეტებზე. ვინაიდან უნივერსიტეტი შეიქმნა პროფესიული კავშირების გაერთიანების ხელშეწყობით, ახლო მომავალში ჩაიფიქრებულა თანამედროვე სტანდარტების მიხედვით პროფესიულ კავშირებში მომუშავე კადრების მოზადება. უნივერსიტეტის ბაზაზე ფუნქციონირებს მრავალპროფილიანი კოლეჯი და ლიცეუმი.



● დავით ჯანგულაშვილი

რექტორატს კარგად აქვს გაცნობიერებული ქვეყანაში შექმნილი მიმდევრობითი ეკონომიკური მდგომარეობა და აქედან გამომდინარე, მაქსიმალურად არის შემცირებული სწავლის სავსური, რომელიც წელიწადში 220 დღისადაა არ აღემატება.

დიდი კონკურენციის მიუხედავად უნივერსიტეტი სრული დატვირთვით მუშაობს.

ლექციებზე მისული სტუდენტები მართლაც რომ ოჯახურ გარემოში აღმოჩნდებიან. ყოველ დღით ჩათი, ყავითა და ტკბილეულით გაცნობილი მაგიდები ხელდახელადაა. ასევე ორგანიზებულია უფასო სამედიცინო მომსახურება, პირველკურსელებს კი უსასყიდლოდ ურიგდებათ სასწავლო სახელმძღვანელოები.

წახალისების მიზნით წარჩინებულ სტუდენტებს ეძლევათ საუნივერსიტეტო გრანტები, სტაჟინდა და ჩაირიცხებიან ასპირანტურაში. უნივერსიტეტის დებულება ასევე ითვალისწინებს წარჩინებული სტუდენტების გაგზავნას რუსეთის, უკრაინის, ბელარუსის შრომისა და სოციალურ ურთიერთ-

მეორ ცოდნას უნდა ფუფუნებოდეს. მართალია, სოკობითი თანობაველებულმა კერძო უმაღლესმა სასწავლებლებმა დაიპოვიან სარძილოებისა და სასიძოების რიცხვი საგრძობლად გაზარდა, მაგრამ მაღალი რანგის პროფესიონალები მაინც თითებზეა ჩამოსათვლელი. მიზეზი საკმაოდ ბანალურია – სასწავლებელი, რომელსაც არანარი ბაზა არ გააჩნია, ცოდნასაც „შესაბამის“ იძლევა. ანუ, სიმწირით აღებული დიპლომის მიღმა წყალობი გადაყრის სოლიდური თანხები და ტყუილად გაფლანგული ძვირფასი დრო მოიპარება. ამდენად, აბიტურენტები და მათი მშობლები დიდი დილემის წინაშე იმყოფებიან – როგორმე გზა გაიყვანონ მომრავლებული, არაფრისმოძვენი უმაღლესი სასწავლებლების მაცდუნებელ დაბირინებში. საბედნიეროდ, პარალელურად ფუნქციონირებს სასწავლებლები, სადაც ნამდვილად ხელეწიფებათ კვალიფიციური სპეციალისტების აღზრდა.

ამჯერად საქართველოს პროფესიული კავშირების თბილისის უნივერსიტეტზე ვაიმობით, რომელიც რეკლამას ნამდვილად არ საჭიროებს, რადგან, როგორც უნივერსიტეტის მესვეური ამბობენ, რეკლამა მათ უბრალოდ არ საჭიროებათ. მათი ყველაზე დიდი პროპაგანდისტები ისევ და ისევ უმაღლესი სასწავლებლის სტუდენტები და პედაგოგები არიან. ისინი ერთ დიდ ოჯახს წარმოადგენენ, სადაც მიუხედავად მეგობრული დამოკიდებულებისა, მკაცრად არის დაცული უფროს-უმცროსობა და სადაც მაქსიმალურად არის შექმნილი ყველა პირობა საფუძვლიანი ცოდნის მისაღებად.

საკ თბილისის უნივერსიტეტი საქართველოს პროფ-



● თამილა ზუციშვილი (შუაში) თანამშრომლებთან

ბათა აკადემიებში, აგრეთვე, სხვადასხვა ქვეყნების უმაღლეს სასწავლებლებში.

პირველკურსელებისათვის საკვლევებლად საგანია კომპიუტერზე მუშაობის როგორც თეორიული, ასევე პრაქტიკული სწავლების სრული კურსი. ამას გარდა, სტუდენტებს საშუალება აქვთ გაიარონ საოფისე ინდივიდუალური კურსები და აიღონ საერთაშორისო სერთიფიკატი, რაც სწავლის საფასურში შედის.

უნივერსიტეტში დიდი ყურადღება ექცევა სტუდენტების სულიერ და ფიზიკურ აღზრდას. სპორტული მეცადინეობები ტარდება სპორტის სასახლეში, რომელიც ივართ აქვე აღებული.

ლიტერატურულ სალონში სისტემატურად იწვევენ სასურველ სტუმრებს, რომლებსაც სტუდენტები თავიანთ შემოქმედებას აცნობენ. ასევე ხშირად ატარებენ ცნობილი მწერლებისა თუ პოეტების შემოქმედებით საღამოებს. განსაკუთრებული ხალისითა და ენთუზიაზმით სტუდენტები და პროფესორ-მასწავლებლები სტუდენტური დღეებისათვის ემზადებიან, როცა მაქსიმალურად წარმოინდება ახალგაზრდების ნიჭი და შესაძლებლობები.

ნაყოფიერად მუშაობს ფრანგული სალონი. მისი წევრები აქტიურად თანამშრომლობენ ალექსანდრე დიუმას სახელობის ფრანგული კულტურის ცენტრთან, რაც საშუალებას იძლევა მონაწილეობა მიიღონ საფრანგეთის საელჩოს მიერ გამართულ დონისძიებებში.

და მაინც, ყველაზე ნათელი კუთხე უნივერსიტეტის სამლოცველოა, წმინდა ზატებით დამშვენებული და სანთლების სხივით გაცისკროვებული, სადაც, როგორც ლექტორები ხუმრობენ, განსაკუთრებული ხალხმრავლება სესხების დროს ივარძნება. სულიერ საზრდოს დანატრებული ახალგაზრდები აქ მართლაც მშვიდ, სამიერ ნავსაყუდელს პოულობენ.

უნივერსიტეტში მინიმუმამდგა დაყვანილი ლექცია-სემინარების გაცდენა. თანამედროვე დონეზე აღჭურვილ კაბინეტებში მართლაც რომ სამური დისციპლინა, სისუფთავე და წესრიგი სუფევს.

უნივერსიტეტში გათვალისწინებულია შეღავათები მრავალშვილიანი ოჯახებისათვის. მიუხედავად იმისა, რომ საგადასახადო სამსახური ამ შეღავათებს, უბრალოდ რომ უქიკათ, არაფრად ავლეს, პირიქით, ხშირად უთქვამთ, ქველმოქმედება გუგუამისთვის გჯობდათ.

დიდი ყურადღება ექცევა როგორც თეორიულ მომზადებას, ასევე პრაქტიკულ მეცადინეობებს. მაგალითად, იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტები სასამართლოში, პროკურატურაში და ადვოკატურაში გადიან პრაქტიკას.


დღეს ბევრი მიიღობს საზღვარგარეთ ცოდნის მისაღებად, რადგან თვლის, რომ საქართველოში შეუძლებელია კარგი განათლების მიღება. ვისაც სწავლა სურს, ის საქართველოშიც კარგად ისწავლის, – მტკიცედ სწამთ უნივერსიტეტის მესვეურთ და ასეც არის. ამის დასტურად ერთ ფაქტს მოვიშველიებთ: პარლამენტის ქვეპოლიტექტებში პრაქტიკის რეგლის შემდეგ, შვიდ სტუდენტს მადლობა გამოუცხადეს, სამი მათგანი კი სამუშაოდ დაიტოვეს.

სასწავლო პროგრამები შეთანხმებულია ივ. ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტთან. იურიდიულ ფაკულტეტზე სპეციალურ საგნად ისწავლება ნოვაცია იურისპრუდენციაში. ამდენად, სტუდენტებს შესაძლებლობა აქვთ ყველა საიხლე განიხილონ და შეისწავლონ.

უნივერსიტეტში ფუნქციონირებს მდიდარი სამეცნიერო ბიბლიოთეკა, სადაც სტუდენტები ეცნობიან სხვადასხვა დარგის უახლეს გამოცემებს.

სტუდენტები სისტემატურად მონაწილეობენ რესპუბლიკის მასშტაბით გამართულ სამეცნიერო კონფერენციებში, და მათი ნაშრომები არაერთი დიპლომითა და სიგელით აღიწინა.

უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლები ახალგაზრდებს მომავალი ცხოვრების მოწყობაში, დამოუკიდებ-



● სტუდენტები კომპიუტერთან მუშაობისას

ბელი ნაბიჯების სწორად გადადგმაში ეხმარებიან. მათ თბილი, უშუალო მეგობრული ურთიერთობა აქვთ სტუდენტებთან. იცინ თითოეული მათგანის ოჯახური მდგომარეობა, პრობლემები, გასაჭირი. მშობლები ხშირად გამოთქეპენ თავიანთ მადლიერებას. ასე გვევინა ჩვენი შეილები უახლოეს ნათესავთან გვეყვს მიბარებული.

მაღალი რანგის სპეციალისტები – ორი აკადემიკოსი, ათი პროფესორი, ოცდაათი დოცენტი – ცდილობენ ახალგაზრდებს ცოდნასთან ერთად თავიანთი სიყვარული და გულის ნაწილი გაატანონ საგზლად ცხოვრების დიდ გზაზე.

როგორც გითხარით, ეს მართლაც ერთი დიდი ოჯახია, სადაც საჭიროა, იქ სიპაცრეც არის, თუმცა სადაც ლოიალობა გაჭრის, მამინ აუცილებლად დათმობაზეც მიდიან, რათა სტუდენტებმა სწავლაზე გული არ აიცრუნონ და ქუჩაში არ პაოონ თავშესაფარი.

– შეიძლება ყველა ჩვენი სტუდენტი დიდი მეცნიერი ვერ გახდეს, მაგრამ მთავარია, შევლოთ მათი ჭეშმარიტ მოქალაქეებად ჩამოყალიბება. ღირსეული ადამიანების აღზრდა, ვფიქრობ, ბევრად უფრო ძნელი და საპასუხისმგებლაა, – მიიხზა პრორექტორმა ქ-ნმა თამილა ხუციშვილმა, რომელიც აგერ უკვე ოცდაათი წელია პედაგოგიურ მოღვაწეობას ეწევა და სამართლიანად ამავობს, რომ ჯერ მცირე კონფლიქტიც კი არავისთან მოსვლია.

– ორანების წერა თუ ვიყვართ?

– ნამდვილად არა, თუმცა დამიწერია, – ელიძება ქ-ნი თამილას. თავად ტრადიციული ოჯახის დედას, მჭიდრო, მეგობრული ურთიერთობა აქვს სტუდენტებთან. საკუთარი შეილებივით ზრუნავს სხვის შეილებზე. ცდილობს აღადგინოს და გაამყაროს ზღვარი მათსა და პედაგოგებს შორის, რომელიც დღეს, სამწუხაროდ, ნელ-ნელა იშლება და იყარება.

– ჩვენი უნივერსიტეტის წარმატებას განაპირობებს ერთ მუშტად შეერული კოლექტივი, რომლის სათავეში მართლაც ღირსეული ადამიანი დგას, – ამბობს ქ-ნი თამილა, – დავით ჯანგულაშვილი, კონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, რომელიც პროფესიული კავშირების სასწავლო-სამეცნიერო ცენტრის დირექტორიც არის, არაჩვეულებრივად არიმევეს თავს დაკისრებულ მოვალეობას. იგი ძალიან უყვართ ახალგაზრდებს. ბუნებით იმდენად რბილი და დამთმობია, რომ როცა სტუდენტები ჩვენგან რაღაცზე ურბს მიიღებენ, „საშუალოდ“ მაშინვე ბატონ დავითთან გარბიან. ისიც მიუელი ვულისყურით ისმენს მათ გასაჭირს და მაქსიმალურად ეხმარება.

ბატონმა დავითმა შეძლო არაჩვეულებრივი კოლექტივის შეკვრა. პროფესორ-მასწავლებლები ძირითადად თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტიდან, დასავლეთ ევროპისა და კულტურის უნივერსიტეტიდან, ტექნიკური უნივერსიტეტიდან ჰყავს მოწვეული. კვალიფიკაციური,



● ლექციაზე



● უნივერსიტეტის სამლოცველოში

საქმის არაჩვეულებრივად მცოდნე სპეციალისტები უშუარეულად გადასცემენ თავიანთ ცოდნასა და გამოცდილებას სტუდენტებს. პირველ რიგში, ცდილობენ, შეაყვარონ საგანი, რადგან მიაჩნიათ, რომ ამით სწავლის ხარისხი ბევრად გაიზრდება. მიუხედავად მაღალი რანგისა, პროფესორ-მასწავლებლები სისტემატურად მონაწილეობენ საერთაშორისო სამეცნიერო სემინარებში.

– თქვენი ჟურნალის საშუალებით მინდა მაღლობა გადაეუხადო თავიანთ პროფესიაზე უსაზღვროდ შეყვარებულ ადამიანებს, – აგრძელებს საუბარს ქალბატონი თამილა. ესენი გახლავთ დასავლეთ ევროპისა და კულტურის უნივერსიტეტის გერმანული კათედრის პროფესორი ცისანა გოგლიჩიძე, უცხო ენების ფაკულტეტის კათედრის გამგე დოცენტი მქდა გელაშვილი, სამართლის ინსტიტუტის და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წამყვანი სპეციალისტები იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატები, დოცენტები თამარ ებრალიძე და დოდო ჯულუხაძე, რექტორის თანაშემწე თამარ აბაშიძე.

ყველას ჩამოთვლა, ბუნებრივია, შორს წავიყვანს, თუმცა არც ერთი მათგანი სახელის და პატივისათვის არ იღწვის. ისინი საყვარელ საქმეში ბოლომდე უშუარეულად იხარჯებიან.



ქართული ძაღები ინდოეთში

ინდოეთში 1964 წელს გახლდით ტურისტად და მოხიბლული დაერჩი მისი კულტურით, ხალხით, ეგოტიკური ჩაცმულობით და ზნეჩვეულებებით. ძალზე საინტერესო იყო ტაძარზე განლაგებული სოფლების ხილვა ხიმინჯაგზე შემდგარი დაწული სახლებითა და დემფარებით ხელოვნურად გაკეთებული საბოსტნე მიწებით, რომელიც სიარულის დროს ირყოდა.

ინდოელი ძაღები გარეგნობით ქართველ ძაღებს ჰგავანან. მათი ტანსაცმელი იოლი შესაკერია – ზედატანის გარდა, წელამდე რომ ძლივს სწვდებათ, 5-10 მეტრი სიგრძის ქსოვილი – სარი აქეთ შემოხვეული, რომლის ერთი ბოლო ერთ-ერთ მხარზე აქეთ გადაადებული იმისდა მიხედვით, გათხოვილია ქალი თუ გასათხოვარი. გათხოვილებს შუბლზე დიდი ფერადი ნიშანიც აშვენებთ.

მაჰაჯაცის ტანსაცმელს დპოტი ჰქვია. იგი გრძელი თეთრი პერანგია და ზეწრის ზომის ფეხებზეა ამოვსებული, წინ გამონაკვეული შარვისისაგან შედგება.

ინდოეთი განთქმულია კულტურულ-ისტორიული ძეგლებით, რომელთაგან განსაკუთრებით ფორტ „ლალ-კილასა“ და ტაჯ-მაჰალს აღვნიშნავდით:

დიდ მონღოლთა დინასტიის ერთ-ერთ წარმომადგენელს, სიუმაიუნის შვილითაშვილს – შაჰ-ჯაჰანს, 1639 წელს დაუმთავრებია წითელი კვიშაქვით ნაგები სასახლისა და ციხე-ქალაქ „ლალ-კილას“ მშენებლობა, რომლის დიდ დარბაზშიც მარმარილოს ლოდზე – „ფარშეჯანგის ტაბურეანზე“ ერთ დროს თავად შაჰ-ჯაჰანი მჯდარა. ლოდის ირვებ მხარეს გამოყვანილი ფარშეჯანგები ძვირფასი თევზებითაა მოჭვდილი. დღეს წითელი ფორტი ინდოეთის დამოუკიდებლობის სიმბოლო გახლავთ.

საქვეყნოდაა განთქმული ქალაქი აგრა თავისი ტაჯ-მაჰალით. ეს სასახლე-მავზოლეუმი XVII საუკუნის ძეგლია და იგი შაჰ-ჯაჰანს თავისი ერთადერთი და უსაყვარლესი ცოლისთვის აუგია. ისტორიული წყაროების თანახმად, მასის ცოლი შესაძლებელია ქართველიც ყოფილიყო, რასაც სურათზე მისი სახის ნაკეთები, თვალის ჭრდილი და გამოძეგვრელება ადასტურებს.

იმავე გადმოცემით, ეს ქართველი ქალი – მუმთაზ მაჰალი, ფეხმძიმედ ყოფილა მეითოსხმეტე შვილებ, როცა მუცლიდან ბავშვის ტირილის ხმა შემოესმა. აღსასრული უგრძენია და მეუღლისათვის ანდერძი დაუტოვებია – მისი სიყვდილის შემდეგ შვილებისათვის ეპატრონა და საფლავზე ისეთი რამ აეყო, რომლის მსგავსიც მანამდე დედამიწის ზურგზე არ არსებობდა.

მართლაც, 20000 კაცი 22 წელიწადს აშენებდა სასახლე-მავზოლეუმს – ტაჯ-მაჰალს, რომელსაც დღეს მარმა-

რილოში გამოკვეთილ სიმფონიას, სიზმარს, ოცნებას უწოდებენ. თეთრი პრილაა 'მარმარლო მშენიერი სანახავა ყოველგვარ ამინდში და ოქროთი, 'იასპითა და აქატით არის მოპირფარებული. დედიფალი მავზოლეუმის შუაგულშია დაკრძალული.

შაჰ-ჯაჰანს სურდა, მდ. ჯამნას მერე მხარეს თავისთვისაც აეშენებინა შავი მარმარილოსაგან ნაკეთი ასეთივე ნაგებობა, მაგრამ არ დასცალდა – შევიდმა შეთქმულემა მოუწყო, ვიჟად გამოაცხადა და საჰერობილემში ჩააგდო. გარდაცვალების შემდეგ შაჰ-ჯაჰანი მუმთაზის გვერდით დაუკრძალავთ.

ტაჯ-მაჰალის მშენებლობის დამთავრებისთანავე შაჰ-ჯაჰანს თავისი პირველი ოთხი ვაჟისათვის გაუნაწილებია სამეფო. კანონიერი მემკვიდრე დარუყოლია, მის მომდევნო აურანგზებს კი მითლი იმპერიის მმართველობა მოუწადინებია, მამ მოუკლავს და ცოლად შეურთავს მისი ქართველი ცოლი, რომელიც 14 წლის ასაკში დარუს ტყვეებით მოუკურსისაგან შეუქენია. ქალის ქართული სახელი შემონახული არ არის, ინდოეთში კი მისთვის უდიერუბი დაუქმებიათ.

უდიერუბი სიღამსესთან ერთად ტყუილი, გამჭირაობით და განათლებითაც გამოირჩოდა. მას იმდენად დიდი გავლენა ჰქონია პირველ ქმარზე, რომ მისთვის ქრისტიანობა მიუღებინებია. შესაძლოა, ამის გამო მოკლა იგი აურანგზებმა.

აურანგზებსაც ძლიერ შეჰყვარებია უდიერუბი. დიდ ანგარიშს უწევდა მის შწრს სახელმწიფო და სხვა მნიშვნელოვანი საკითხების გადაწყვეტის დროს. ფეოდალ რაჯასინგპის წინააღმდეგ ერთ-ერთ ლაშქრობაში საბრძოლველადაც კი წაუყვანია, სადაც ქალი ტყვედ ჩაჯარნილდა. აურანგზებს ცოლი გამოუსყიდია. როცა საკანში დედოფლის გასათავისუფლებლად შესულან, უნახავთ, რომ უდიერუბი დვითი სმშობლის ხატის და ჯვარცმის წინ დამშობილიყო და მხურვაულ ლოცვით დმერთს დაკარგულ სამშობლოს – საქართველოს და შვილებს ავედრებდა.

როგორც ბენგალელი მწერალი ჩოტობატჯანი (1838-1894 წ.წ.) წერდა, ხანშიშესული უდიერუბი სასმელს მისძაღებია და თავის დარბაზში, ბებერი აურანგზების გარდა, შესვლის ნებას არავის აძლევდა. ამის მიზეზად მწერალი საქართველოში დაბრუნების დაკარგულ იმედს ახატებლდა.

მონსაგად ბარსეჰანიშვილი,

ი. გოგებაშვილის სახელობის პრემიის ლაურეატი, საქართველოს გეოგრაფიული საზოგადოების საპატიო წევრი.





ნინო გოზიანაშვილი

„მიყვარხარ, მაგრამ შენი არ ვიქნებიო“. ეს რომ გაიგო, ალბათ, მამაკაცი უნდა იყო. მე კი ქალი ვარ და სამწუხაროდ, როგორც ყველა ქალს, მჭირდება ვინმეს ვეკუთვნილებ. ჩემი სიტყვები ვიცი, შენს თავლისფერ თვალბში ოდნავ შესაძნევე ღიმილს ჩაღვრის და მერე იქვე გაქრება, როგორც ყველაფერი სხვა, რაც კი შენს თვალბსა და გულს გაჰკარებდა ოდნემ. მე ავერუფ შენს ღიმილს, შენს გამოხედვას და დაგმარხავ გულის უშორეს კუნჭულში, რათა სამუდამო ბინა მიუყვინოთ.

შენ მშვიდი, თამამი ნაბიჯით შემობიძგე ჩემს გულში და ასევე მშვიდად წახვედი. რატომღაც ხდება, რომ ქალებს შენაირი მამაკაცები უყვარდებათ. მამაკაცები, ქაღის ცრემლებზე რომ ეღიმიებთ და გარნობებზე მსუბუქი ირონიით საუბრობენ. ვერასოდეს ამჩნევ, როდის ვყავის ნუში, ატამი ან როდის ცვივა ჭადრებიც ამგვართულ ტოტებს უკანასკნელი გატრეცილი ფოთლები. როგორ მიოცნაყენ პატარა ფერღობებზე ჯერ კიდევ გაუმდნარ თოვლს ქვემოდან ვიზიარებდები და მით უფრო, ფიქრდაც არასოდეს მოვივათ, რომ შეიძლება ეს უნაზესი მარგალიტები ვინმეს, თუნდაც ყველაზე საყვარელ ადამიანს აჩუქოთ.

შენ უხვად აფრქვევ გარშემო ღიმილს, ხალისს და არც გრძნობებს ზოგავ ვინმისთვის, იმიტომ, რომ ეს გრძნობები ცხოვრების არსს არ წარმოადგენს შენთვის. სწორედ ამიტომ ხდება, რომ ერთ ადგილას ვერ ძლებ დიდხანს და უმტკიანეულოდ მიდისხარ ხოლმე. არ გუსურს რაიმე არსებობდეს ქვეყნად, რაც დაგაკავებს, არ გავიშვებს. არ შეგიძლია გივიო, რომ თავისუფლებისთვის არ ვიბადებთ ქვეყნად.

ჰოდა, აი ხდება მაინც, რომ ქალებს უყვარდებათ შენაირი მამაკაცები...

თურმე ტკივილისგანაც შეიძლება ხელახლა იშვა. ნუთუ ეს მხოლოდ მე ვიცი? აქამდე გაგონილი მქონდა, მეორედ დაიბადო სიხარულისგან. თუქცა ეს თვითონ არ გამოძივია. უფრო იმიტომ, ალბათ, რომ ბედნიერების აღქმის ნიჭი არ დამკვა ბუნებით. მუდამ ვიცნობობდი და ნამდვილი სიხარული გულს მიღმა მჩრებოდა ყოველთვის. ან იქნებ იმიტომ, რომ ეს გრძნობა ძლიერ ხანმოკლეა, რადგან მისი განცდის უმაღ სხვა გვეტყობება?

ტკივილი კი მიმივა და ზანტი. ჩაჯდება სულში და გაიღვას ფესვებს. ჯერ გულს მისწვდება, მერე სისხლძარღვებს დაივლის და ბოლოს გონებას მიადგება ხოლმე. ჰოდა, ვაი გონებას, თუ იგი ბუნებითაც მიმივა და უძალი.



შახაპარი ცინარა ტარეშაძე

მიღად თავის ნებას მოახვევს ეს თავნება ტირანი და ქარი-შხალგამივით ხომალდს დააშვავებს კაცს...

მაგრამ ჩემი საქმე სულ სხვა იყო. მაშინ აღარც გული მქონდა და აღარც გინება, რომ სადმე გაეგად ფესვები ტკავილს. ორივე მას ვაყვავებ თან. ჰო, მე იმ დღეს მოეკვი, როცა ის დაეკარგე. ეს მხამალალი სიტყვები არაა. ისიც ცხადია, რომ ის დაეკარგე და ისიც, რომ აღარ ვარსებობდი. ან იქნებ ვარსებობდი, მაგრამ აღარ მქონდა გული, გონება, ფიქრი, ოცნება, რადგან ეს ყველაფერი ის იყო ჩემში.

თუმცა, ეს მაშინ. გუშინ კი იწვიმა და ვივრძები, რომ გული ისევ მქონია. სუნიქვა შევივარი (თურმე ვსუნთქავდი კიდევ) და ყური მივუგდე: ჯერ სუსტად, მერე კი უფრო ცხადად მიმეძმა მისი მხაური. ძარღვები აირთოლდნენ, როგორც ახლად ამოსულს გვეჯილი ვახუფულის სოსისგან და ტკილიმა ფროლიამ გული-სოკოზთან მოიყარა თავი. მაწმიდა ტუბილი შხაპუნა, შვინთ კი გული მიბეგრდა. ჩემი, საკუთარი გული და მხოლოდ ჩემთვის გრძნობდა, რომ წმიდა თბილი, საოცრად თბილი წვიმა და გულისოკოზთან გროვდებოდა მლაშე ცრემლებად.

წუხელ წვიმა, მაგრამ დღეს აღარ წვიმა და მე მისხარია, რადგან შენ ვეპულს წვიმა. წვიმამ გადაღალა გამომსვლელი ტოტები. ალბათ, ამიტომაც მოღუშულან უჩვეულოდ. ისინი მშირად თბილი ეძლევიან სევდას. არ გვეგონოს მათი ღუმილი მძიმე ფიქრებზე მითითებდეს. ო, სუსტებითაც არა, რადგან ხომ იცი, ვახაფუხლს ვლან. მე ექვც მისხარია, რომ მათი ღლიდინი უსასრულო არ არის, როგორც ჩემი. ჰო, ძვირფასო, მე ყოველთვის თვალს ვარიფებ მათ, რომ არ ვასწავლო სევდა. არა, როდი ვჩივი. პირიქით, ბედნიერი ვარ, რომ მენატრები და ჩემს ფიქრებს შეუძლიათ შენით იფუნენ საესენი. შენ წარმოდგენივარ არ შეიძლება, ეს რას ნიშნავს. ეს უფრო მშენიერიია, ვიდრე ტაშმა არეკლილი კამკაშა მთვარე, უფრო ცხიველი, ვიდრე ავეისტოს თაკარა მზე...

წუხანდელი წვეთები დარჩენილან მინებზე. რა მშენიერი რამაა ყოველი მათგანი. რატომ გძულს წვიმა? თუმცა, მეც მძულს იგი. სწორედ იმიტომ, რომ ასე ძალიან მიყვარს და ეს კიდევ უფრო მაშორებს შენგან. წვიმა ცრემლები არაა. წვიმა შევება და თავმესაფარი. წვიმა სევდად დაგვიანებული სიყვარულისა. ალბათ, ამიტომაც გაბეჭვები იგი...

...ჩემო კარგო!.. მე აღარ ვივადრებ შენზე, რადგან ეს კამკაშა, პაწაწანი ბრილის მარცვლები მიშლიან სევდას. მე მხოლოდ გავისენებ და ძველებური ჩურჩულით გეტყვი: მიყვარხარ!...

მინდა ყველაფერი კეთილი თვალით დავინახო



● მაია ცინცაძე

დღეს, ჩვენდა საამაყოდ, ასაკოვან მეცნიერ ქალბატონებს ახალგაზრდები ემატებიან. ერთერთი მათგანია გამოჩენილი, ჭეშმარიტ მეცნიერთა ოჯახის წევრი, ქიმიის მეცნიერებათა დოქტორი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ზოგადი და ბიოარორგანული ქიმიის კათედრის პროფესორი მაია ცინცაძე. იგი ქიმიის მეცნიერებათა დოქტორის, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსის, საქართველოში კოორდინაციული ქიმიის ერთერთი ფუძემდებლის გივი ცინცაძის და ფარმაცევტის, ქიმიის მეცნიერებათა კანდიდატის ანა ნარიშანიძის ქალიშვილია. და – თამარი ექიმა, მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატი, ფარმაციოლოგიისა და ფარმაციის კათედრას ხელმძღვანელობს.

მაია მამადავითობის წმინდა დღესასწაულსაა დაბადებული. ალბათ, ღვთის წყალობით გადმოეცა ოჯახისგან ასე უხვად: ზრდილობა, განსწავლულობა, წიგნიერება, სიყვითის თესვა... ამის საუკეთესო მაგალითს ვიკონებ მშობლები აძლევენ. სხვისი შვილების განმანათლებლებს, ბედის დაცინვა იქნებოდა მათთვის რაიმე დაეკლოთ!

